ხელშეკრულება №127

მცხეთა

17 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ შპს „მკითხველი თბილისი "(შემდგომში-მიმწოდებელი) წარმომადგენელი მისი დირექტორის მედეა ზაუტაშვილის სახით და მეორე მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში-შემსყიდველი) წარმომადგენელი მისი დირექტორის შორენა არჯევანიძეს სახით , შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1ხელშეკრულება-წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციითურთ

1.2 შემსყიდველი- ორგანიზაცია რომელიც აწარმოებს შესყიდვას

1.3 მიმწოდებელი-პირი რომელიც ასრულებს შენობის მოწყობის სამუშაოებს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 ხელშეკრულების ღირებულება- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5 დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.6 ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა,რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა,აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 ხელშეკრულების საგანია CPV22100000 (ნაბეჭდი წიგნები და ბროშურები)ამ ხელშეკრულებით გათვალისცინებული ანაზღაურების სანაცვლოდ

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება:

3.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 126.00 (ასოცდაექვსი ლარი) ლარს და მოიცავს მომსახურეობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას

საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშსწორება

4.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშფაქტურის გამოწერი შემდეგ,შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა ან ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა:

5.1 სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი -მცხეთა

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები წარმოქმინილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისცინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია :

ა) ჯეროვნად,კეთილსინდისიერად,დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები

ბ)სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება.

გ) სამუშაოს შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

დ) უზრუნველყოს სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალების, აღჭურვილობისა და მექანიზმების მიწოდება საკუთარი შესაძლებლობითა და რესურსებით.

ე) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები:

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „მკითხველი თბილისის " დირექტორი

7.2ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია, ინსპექტირება უზრუნველყოს საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4 ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8.პირგასამტეხლო

8.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%

43603636 2

ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში- ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1% ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1% ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 ხელშეკრულები ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა მისთვის ინტერესი.

მუხლი 9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და დადგენილი სტანდარტების შესაბამისი

9.2 საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა

9.3 მიმწოდებლის მიერ 9.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას,იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ,წინააღმდეგ შემთხვევაში არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დანამატის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი გზით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

11.2 ხელშეკრულების პირობების,მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას

გ)თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება

დ) თუ ცნობილი გახდა,რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყალბია

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთვევებში

მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით,შეთანხმების გადაუწყვეტლობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით

13.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მიღების დღეს

მუხლი 14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავება ევალება შემსყიდველს.

მუხლი 15.ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად,ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან,ორი-შემსყიდველთან, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი,მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე,განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას.

მუხლი16.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 17.სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე

17.2 მესამე პირთან მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,თანხებით და რისკით

მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:	შემსყიდველი:
შპს „მკითხველი თბილისი“ ს/კ 404492161 მის.: თბილისი. აღმაშენებლის 112 მობ.: 599-37-75-11 ტელ:0(322)-43-02-04 საბანკო რეკვიზიტები: ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE06LB0113152548172000 დირექტორი (ხელმოწერა) ბ.ა	თვითმმართველ ქალაქ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება ს/კ 436036362 მის: მცხეთა. მამულაშვილის 12 ტელ: 551929234 დირექტორი (ხელმოწერა) ბ.ა